



სამართლიანი არჩევნები

20:00 საათი, 2 ოქტომბერი, 2011

2011 წლის 2 ოქტომბრის პარლამენტის შუალედური არჩევნების კენჭისყრის პროცედურების მიმდინარეობის წინასწარი შეფასება

მისიის ფორმატი

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) აკვირდებოდა 2011 წლის 2 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებს თელავის #17 საარჩევნო ოლქში. კენჭისყრის მიმდინარეობის მონიტორინგი ორგანიზაციამ 40 უბნის დამკვირვებლისა და 2 მობილური ჯგუფის მეშვეობით განახორციელა.

ამომრჩეველთა აქტივობა

„სამართლიანი არჩევნების“ ხელთ არსებული ინფორმაციით ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა კენჭისყრის დაწყების მდგომარეობით შეადგენდა 56 906 ამომრჩეველს. კენჭისყრის დღის 5 საათის მონაცემებით საარჩევნო უბნებზე გამოცხადდა 15 038 ამომრჩეველი, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 26.43 პროცენტს წარმოადგენს.

ამ წუთებში საუბნო საარჩევნო კომისიებში მიმდინარეობს მოსული ამომრჩევლების რაოდენობის დადგენა და აღნიშნულ მონაცემებს „სამართლიანი არჩევნები“ უახლოეს წუთებში გამოაქვეყნებს.

კენჭისყრის დღის ხარვეზები

ეროვნული უმცირესობები: კენჭისყრის პროცედურების ხარვეზები ყველაზე ხშირად სოფელ ყარაჯლის #37-ე, 38-ე, 39-ე და 54-ე უბნებზე შეიმჩნეოდა, სადაც ამომრჩეველთა უმრავლესობა ვერ ახერხებდა ქართულ ენაზე დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების მეშვეობით ხმის დამოუკიდებლად მიცემას. საარჩევნო კაბინებში შესულ ამომრჩევლები ოჯახის წევრების, ან უბანზე მოსული ამომრჩევლების დახმარება ესაჭიროებოდათ, რაც იწვევდა ხმის მიცემის პროცედურების არაორგანიზებულ რეჟიმში წარმართვას. უბნებზე მოსული ამომრჩევლები ხშირად მიუთითებდნენ ერთმანეთს, თუ რომელი საარჩევნო სუბიექტისთვის მიეცათ ხმა.

სხვის ნაცვლად ხმის მიცემის მცდელობა: #52 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად ხმის მიცემის მცდელობა. აღნიშნული ფაქტი ალკვეთილ იქნა დამკვირვებლებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების ჩარევის შედეგად.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის
საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი
შარტავას ქ. 18

ტელ: (995 32) 2 370 814

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge

უბანზე გამოცხადებული ამომრჩევლების აღრიცხვა: 2010 წლის 30 მაისის საპარლამენტო არჩევნების მსგავსად, დღესაც შეინიშნებოდა უბანზე გამოცხადებული ამომრჩევლების აღრიცხვის ფაქტები უბნის ტერიტორიაზე მყოფი პირების მიერ.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები: უკანასკნელი არჩევნების მსგავსად, მასიურად შეინიშნებოდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებად აკრედიტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეების ყოფნის ფაქტები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები: #42 საარჩევნო უბანი არ იყო მოწყობილი ეტლით მოსარგებლე ადამიანებისათვის, რის გამოც, უბანზე მისულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველს სერიოზული პრობლემები შეექმნა ხმის მიცემის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით.

საჩივრები: ამ დროისათვის ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ არ დაწერილა საჩივრები საუბნო, ან საოლქო საარჩევნო კომისიის სახელზე, თუმცა, უბანზე არსებული პროცედურული ხარვეზებისა და ამომრჩეველთა ნების განხორციელებაზე ზეგავლენის მცდელობის ფაქტებთან დაკავშირებით დამკვირვებლების მიერ დაწერილია შენიშვნები უბანზე არსებულ ჩანაწერთა წიგნებში.

„სამართლიანი არჩევნები“ განაგრძობს დაკვირვებას ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებზე საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში და არჩევნების დღის წინასწარ შეფასებას 2011 წლის 3 ოქტომბერს, 12:00 საათზე წარმოგიდგენთ.

„სამართლიანი არჩევნების“ სადამკვირვებლო მისია ფინანსურად მხარდაჭერილია „ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) მიერ

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის
საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი
შარტავას ქ. 18

ტელ: (995 32) 2 370 814

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge